სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-03

ქ. თბილისი

12.01.2015.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე ნიკოლოზ ნიკოლაიშვილის ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №224/ნ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 21 აგვისტოს №940 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 22 აგვისტოს MES 4 14 00597360 წერილის (უნივერსიტეტში შემოსული 27.08.2014 №03-21280/14), ნიკოლოზ ნიკოლაიშვილის 2015 წლის 5 იანვრის №03-001/15 განცხადების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2015 წლის 5 იანვრის №03-002/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი (საქართველოს მოქალაქე (პირადი N01030041462), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სწავლების საბაკალავრო საფეხურის პროგრამაზე – ფილოსოფია და სწავლას შეუდგეს 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

2. ეს ბრძანება ბათილია მისი გამოცემის მომენტიდან, თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების

მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ნიკოლოზ ნიკოლაიშვილის პირადი საქმის მოწესრიგება.

4. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში ნიკოლოზ ნიკოლაიშვილისათვის უზრუნველყოს კრედიტების აღიარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში.

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და სტუდენტ ნიკოლოზ ნიკოლაიშვილს.

რექტორი **გიგა ზედანია**